განკარგულება:**გ-81. 81261474**
თარიღი:**27/05/2026**

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №16

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქუჩა №71-ში მდებარე 10 577.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის გადაცემაზე ცაგერის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.დ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლის მე-4 და მე-6 პუნქტების, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის საფუძველზე,

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულომ გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. თანხმობა მიეცეს ცაგერის მუნიციპალიტეტის მერს, ცაგერის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ქალაქ ცაგერში, აღმაშენებლის ქუჩა №71-ში მდებარე 10 577.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის (ს/კ: 89.03.21.242) პირდაპირი განკარგვის წესით სარგებლობის უფლებით - უსასყიდლო აღნაგობით სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდისთვის 2027 წლის 30 მაისამდე გადაცემაზე.

2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში (მისამართი ქ. ცაგერი, რუსთაველის ქუჩა №69) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ვასილ საღინაძე

ცაგერის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი